საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№2 პერიოდული გამოცემა 2015 წ. თებერვალი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

თებერვლის 28 დღე სახალხო დამცველის აპარატისთვის საკმაოდ რთული და მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა. პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტია. 5 მძიმე დღის განმავლობაში მე და ჩემს მოადგილეებს 20–ზე მეტი შეხვედრა გვქონდა ვაშინგტონსა და ნიუ–იორკში, უამრავი ადამიანი ვნახეთ, რომლთაც საქართველოს შესახებ არც თუ სრული ინფორმაცია ქონდათ, თუმცა დიდი ინტერესით გვისმენდნენ და უღრმავდებოდნენ საქართველოში, როგორც მათ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების, კანონის უზენაესობის და თანასწორობის დამკვიდრების გზაზე არსებული მიღწევების და გამოწვევების შესახებ საკითხებს.

თებერვალში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების შესახებ 11 სახელმწიფო ორგანიზაციამ თავისი ანგარიშები წარმოადგინა. მართალია, ბევრი რეკომენდაცია შეუსრულებელი დარჩა მაგრამ წინა წლებთან შედარებით ბევრად უკეთესი ვითარებაა, რაც პარლამენტის დადგენილების დამსახურებაა უდავოდ.

ამ თვეს პარლამენტის 5 კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს სახალხო დამცველთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს „ოსური ფორუმის" საკითხი. ისაუბრეს ოსური ენისა და კულტურის შენარჩუნებაზე, ოსი ეროვნების საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისთვის ცხოვრების უფლების მინიჭების მექანიზმებზე. სხვათა შორის, ეს საკითხი არა მხოლოდ ოსი ეროვნების მოქალაქეებს აწუხებთ. იგივე პრობლემა უდგას

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 4
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 6
5. გასული თვის მოვლენები 7
6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა 12
7. წარმატებული საქმეები 12
8. სხვა სიახლეები 13
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15
10. კონტაქტი 15

რამდენიმე ათას ადამიანს მთელს საქართველოში და ამაზე იუსტიციის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზეც ვისაუბრეთ (ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსათვის სხვა ბევრ აქტუალურ საკითხთან ერთად).

სახალხო დამცველის აპარატი 2014 წლის ერთ–ერთ ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციად დასახელდა და დაგვაჯილდოვეს კიდეც. თებერვალში, გვეწვია საერთაშორისო ექსპერტი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი მანფრედ ნოვაკი, ასევე ვუმასპინძლეთ ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელ მისიას. სამწუხაროდ, პირადად მათი ნახვა ვერ შევძელი, ვინაიდან ამ პერიოდში ამერიკაში ვიყავი ვიზიტით, მაგრამ იმედი მაქვს, ექსპერტები სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობით კმაყოფილი დარჩნენ.

ერთი ძალიან კარგი ღონისძიებაც გვქონდა. კონკურსი „მე ომბუდსმენის“ გამარჯვებულები დავაჯილდოვეთ. ევროკავშირის დახმარებით, საჩუქარი მესამე ტურში გასულ ყველა მოსწავლეს (17 გუნდს) ერგო. ამდენი გუნდი მესამე ტურში არასდროს გადასულა. ასეთი ახალგაზრდები მახარებს და მეიმედება.

ამას გარდა, ბევრი რეკომენდაცია და წინადადება მოვამზადეთ, ბევრი შეხვედრა გავმართეთ, რამდენიმე განცხადებაც მქონდა, სადაც აქტიურად ვითხოვდი ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას. მოკლედ, თუ გაინტერესებთ სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა, სტრუქტურული ცვლილებები, სხვადასხვა ხასიათის აქტივობა და რაც მთავარია, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, გადახედეთ თებერვლის თვის საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც საინტერესო და ამავე დროს, შემეცნებითი დოკუმენტია.

2. მთავარი მოვლენა

2.1. სახელმწიფო უწყებათა ანგარიშები სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესულების თაობაზე

10–17 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა განიხილეს. სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები 11 უწყებამ წარმოადგინა.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულად, ან ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია, თუმცა, არაერთი კვლავ შეუსრულებელია, თუმცა დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი უწყება აგრძელებს მუშაობას სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესასრულებლად.

არაერთი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია

„მართალია, ზოგ შემთხვევაში არსებობს ობიექტური მიზეზები, მაგრამ არის რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც სასწრაფო და აუცილებელია და მათი შესრულებისათვის რესურსის დაზოგვა დიდ პრობლემებს გამოიწვევს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მათ შორის მოიაზრება არაერთხელ გაჟღერებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა; შრომის ინსპექციის ჩამოყალიბება; დახურული ტიპის დაწესებულებებში საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთათვის ფოტოგადაღების უფლება“, – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

* დაწვრილებითი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციათა შესრულების შესახებ, **იხილეთ ვებ გვერდზე, სიახლეების ნაწილში.**

2.2. სახალხო დამცველის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

23-27 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა და მისმა მოადგილეებმა ოცზე მეტი შეხვედრა გამართეს ვაშინგტონსა და ნიუ–იორკში აშშ სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. სახალხო დამცველმა მათ ინფორმაცია მიაწოდა

საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ. ომბუდსმენმა ყურადღება გაამახვილა ამ კუთხით ქვეყანაში პოზიტიურ ტენდენციებსა და არსებულ გამოწვევებზე. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესმა, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობამ და მართლმსაჯულების რეფორმის მიმდინარეობამ საქართველოში. შეხვედრებზე ხაზი გაუსვეს ასევე, შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობასა და საქართველოში შრომის უფლებების ეფექტურ რეალიზაციას.

„ამერიკის შეერთებული შტატებში დაინტერესებული არიან საქართველოში მიმდინარე პროცესებით და კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობით, რის შესახებაც ჩვენ დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ, – განაცხადა შეხვედრების შემდეგ უჩა ნანუაშვილმა.

23 თებერვალს **სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ვაშინგტონში შეხვდა** საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) რეგიონულ დირექტორს სტეფან ნიკსს, კარნეგის მშვიდობის ფონდის წარმომადგენელს პოლ სტრონსკის და სოლიდარობის ცენტრის რეგიონული პროგრამების დირექტორს რუდი პორტერს.

„საქართველოში შრომის ინსპექციის გაუქმება არ შეესაბამება საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუციის აღდგენა, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში შრომის უფლებების იმპლემენტაციაზე ზედამხედველობა. ამ პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახალხო დამცველის ჩართულობა“, – განაცხადა სოლიდარობის ცენტრის ევროპისა და შუა აზიის რეგიონული პროგრამის ხელმძღვანელმა რუდი პორტერმა.

ატლანტიკური საბჭოს ევრაზიული ცენტრის დირექტორთან ელჩ ჯონ ჰერბსტთან გამართულ შეხვედრაზე განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილების, მოქალაქეობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. სახალხო დამცველმა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ მომზადებული სპეციალური ანგარიშების თაობაზეც ისაუბრა.

შეხვედრები ვაშინგტონში

24 თებერვალს **სახალხო დამცველი და დელეგაციის წევრები შეხვდნენ** ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, სადაც ისაუბრეს ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე და ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის პროცესში სახალხო დამცველის წამყვან როლზე. სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოს ომბუდსმენთან გამართულ მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა.

ასევე, გაიმართა შეხვედრები ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), „Freedom House–ის“, ევრაზიის ფონდისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლებთან.

25 თებერვალს სახალხო დამცველი შეხვდა ეროვნული ფონდი დემოკრატიისთვის (NED) პრეზიდენტის მოადგილეს სტრატეგიისა და პოლიტიკის საკითხებში ბარბარა ჰეიგსა და ევრაზიის რეგიონის დირექტორს რობერტ დონოვანს. ასევე ფართო შეხვედრა გაიმართა ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტის (USIP) წარმომადგენლებთან.

შეხვედრებით დატვირთული იყო სახალხო დამცველისა და მისი მოადგილეების ვიზიტი ნიუ–იორკში. **26 თებერვალს** **სახალხო დამცველი ნიუ–იორკში შეხვდა** პოლიტიკური განვითარებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებში საერთაშორისო ექსპერტს ლინკოლნ მიტჩელს, რომელიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობის კუთხით საქართველოში მოვლენების განვითარებას დიდი ინტერესით ადევნებს თვალს და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ამსახველი არაერთი საინტერესო პუბლიკაციის ავტორია.

„საქართველოში ადამიანის უფლებების თვალსაზრისით კვლავ რჩება გამოწვევები. ხელისუფლებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს უმცირესობების უფლებების დაცვაზე. სიძულვილის მოტივით ჩადენილი ყველა დანაშაული უნდა იქნეს გამოძიებული. ასევე მნიშვნელოვანია სამართალდამცავი უწყებების რეფორმა, რათა სამართალდამცავთა მიმართ გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა. ამის მიღწევის ერთ–ერთი გზა სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმის შექმნაა, - განაცხადა ლინკოლნ მიტჩელმა.

იმავე დღეს სახალხო დამცველი შეხვდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კოალიციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს არტურ ლემონს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (UN OHCHR) მოადგილეს მარიტ სერიფსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Rights Watch"-ის დირექტორის მოადგილეს რეიჩელ დენბერს. ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMAN) წარმომადგენლებს.

შეხვედრები ნიუ–იორკში

27 თებერვალს შეხვედრები გაიმართა გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის დირექტორთან დევიდ ტოლბერტთან და პროგრამის დირექტორის მოადგილეს ანა მარია ლოკატელოსთან და ფონდ ღია საზოგადოების პროგრამის კოორდინატორებთან დანა ჯერართისთან და ჯეფ იარბოროუსთან.

„ეს იყო საქართველოს სახალხო დამცველის პირველი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გასულ წელს სახალხო დამცველი მიწვეული იყო საქართველო-ამერიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის სახელმწიფოთშორის კომისიაში, კერძოდ კი დემოკრატიისა და ადმიანის უფლებების სამუშაო ჯგუფში. შესაბამისად, გადავწყვიტეთ განგვეხორციელებინა ზემოხსენებული ვიზიტი და დაინტერესებული მხარეებისთვის მიგვეწოდებინა დეტალური ინფორმაცია საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ. ვფიქრობ, შეხვედრები დროული და საკმაოდ შინაარსობრივი გამოვიდა. შეხვედრებმა ნათლად დაადასტურა რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანში ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტების თანასწორობის პრინციპებისა და სამოქალაქო ღირებულებებისადმი ერთგულებას; ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას" – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია ე.წ. დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე ქალის გათავისუფლებასთან დაკავშირებით

9 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თბილისის №115 საჯარო სკოლის დირექტორს შეისწავლოს ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში მყოფი ლ.ღ–ს სამსახურიდან გათავისუფლების საქმე და კანონის შესაბამისად მოახდინოს დარღვეული შრომითი უფლებების აღდგენა.

თბილისის №115 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დროს შრომითი ურთიერთობები ჩერდება; შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის დროებითი და არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. ამასთან, კოდექსის 37-ე მუხლში ჩამოთვლილია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზები, რომელთაგან არც ერთი არ შეიძლებოდა გამხდარიყო ლ.ღ–ს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

3.2. რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

18 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მოქალაქე ფ.ჯ.-ს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

ფ.ჯ. სასჯელაღსრულების ერთერთ დაწესებულებაში დასაქმებული იყო პედაგოგის თანამდებობაზე. წარსულში ნასამართლობის გამო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მას აუკრძალა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნებისმიერ დაწესებულებაში შესვლა. შესაბამისად, ფ.ჯ. ვერ ახორციელებდა საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს უკვე მოხსნილი ჰქონდა ნასამართლობა და ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფ.ჯ.-ს დარღვეული უფლების აღდგენა მოსთხოვა.

3.3. რეკომენდაცია საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურის ძეგლის სტატუსის მოხსნის კანონიერების თაობაზე

20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურის ძეგლის სტატუსის მოხსნის კანონიერების შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორს.

საკითხის შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სტატუსის მოხსნის თაობაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილებები მიღებული იქნა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

გადაწყვეტილებების მიღებისას არ მომხდარა საქმის ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა და გადაწყვეტილების მიღება გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნულის გამო, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს:

1. უზრუნველყონ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლა და შესაბამისი აქტების გამოცემა კანონით დადგენილი წესით;

2. გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე მიიღონ ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით და მხოლოდ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

3.4. რეკომენდაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს

20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, არარეგისტრირებული კავშირი „თერჯოლას“ წევრების უფლებების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

არარეგისტრირებული კავშირი „თერჯოლას“ წევრები რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრები არიან. ისინი საკრებულოს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელ სახლს აშენებდნენ. დაინტერესებული პირის მიერ 2014 წლის 3 ივნისს წარდგენილი განცხადება/საჩივრის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბრძანებით შეაჩერა მშენებლობის ნებართვის მოქმედება საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაარღვია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა და რე-

კომენდაციის წარდგენის დროისთვისაც კი არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რის გამოც „თერჯოლა“ ვერ ახერხებს მშენებლობის გაგრძელებას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმეში, დარღვეულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების მომზადებისა და გამოცემის წესი, ამასთან იგი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაარღვია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა, რითაც შეილახა „თერჯოლას“ წევრების უფლებები.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება პარლამენტს „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს გამოსწორდეს „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ხარვეზები მისი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და გამოთქვამს სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნას.

ინიცირებული კანონის პროექტით კოდექსს ემატება 239[1] მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად აცხადებს „მოწოდებას შუღლის გაღვივების მიზნით“. სახალხო დამცველის აზრით, ნორმის მოცემული რედაქცია შეუთავსებელია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან.

კერძოდ, ნორმის ტექსტი - „მტრობა და განხეთქილების ჩამოგდება“, საკმაოდ ზოგადია, რაც ქმნის მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის და პრაქტიკაში არასწორად გამოყენების საფრთხეს; ნორმის მოცემული ფორმულირებით არ არის სავალდებულო, რომ მოწოდებისას არსებობდეს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. შესაბამისად, ნორმის მოცემული რედაქციით კრიმინალიზებულია უბრალოდ მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით.

ამასთან, ნორმა არეგულირებს შუღლის გაღვივების მიზნით ისეთ მოწოდებას, რომელიც „პირთა ჯგუფებს შორის“ მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდებას ისახავს მიზნად. სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია მუხლის ფორმულირებაში ნაცვლად სიტყვისა „შორის“, ჩაიწეროს სიტყვა „წინააღმდეგ/მიმართ“, რაც უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დაწესების წინაპირობაა და ამცირებს მუხლის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მისი არასწორად გამოყენების რისკებს.

გარდა ამისდა, კანონპროექტში მოყვანილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სავარაუდო სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალს, უნდა დაემატოს სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, რაც აღნიშნულ ჯგუფებს მიანიჭებს უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფრო მყარ გარანტიებს, ვიდრე ამას ითვალისწინებს ნორმის შემოთავაზებული რედაქცია.

მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს საფრთხის შემცველად მიიჩნევს **სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრი 18 რელიგიური გაერთიანება** და საქართველოს პარლამენტს ფართო დისკუსიის გამართვას სთხოვს, რათა, ღრმად და ყოვლისმომცველად გაანალიზდეს მსგავსი კანონის მიღების მიზანშეწონილობა და მასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო რისკი.

4.2. საკანონმდებლო წინადადება საქართველოს პარლამენტს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის გაუმჯობესების მიზნით

11 თებერვალს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა რამდენიმე კანონში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს. ვინაიდან, დისკრიმინაციასთან ბრძოლის ძირითადი ბერკეტები არის სახალხო დამცველისთვის და სასამართ-

ლოში სარჩელით მიმართვა, შესაძლებელია, ისე მოეწყოს, რომ სახალხო დამცველისა და სასამართლოს ფუნქციები არ ფარავდეს ერთმანეთს და მათი ერთობლივი თანაარსებობა, ურთიერთდახმარების გზით, ორიენტირებული იყოს დისკრიმინაციისგან ადამიანთა ეფექტურ დაცვაზე.

დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების ეფექტურად აღდგენისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობის მიზნით, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიჩნია, სასამართლოსთვის მიმართვის სამთვიანი ვადა ერთ წლამდე გაიზარდოს.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტზე გამო „მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება“. ადმინისტრაციული წარმოება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ნაწილია, რომელიც ფართო დისკრეციით და მიზანშეწონილობით სარგებლობს და ის სახალხო დამცველთან საქმის განხილვის ალტერნატიულად მექანიზმად არ შეიძლება განვიხილოთ.

მართებული იქნება კანონში ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომლის შესაბამისადაც, თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას, მაშინ საჩივარში/განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება.

კანონი არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. შესაბამისად, კანონს უნდა დაემატოს მათი ვალდებულება დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე განიხილონ რეკომენდაცია და მათი განხილვის შედეგები აცნობონ სახალხო დამცველს.

ასევე, მიზანშეწონილი იქნება, სახალხო დამცველს მიეცეს შესაძლებლობა დისკრიმინაციის დავების განხილვის პროცესში გამოიყენოს „სასამართლოს მეგობრის“ მექანიზმი.

4.3. წინადადება ბულგარეთის მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფაქტის გამოძიების შესახებ

23 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა ბულგარეთის სამი მოქალაქის უკანონო დაკავების ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

პოლიციის თანამშრომლებმა ბულგარეთის მოქალაქეები დააკავეს 2014 წლის 15 აგვისტოს, დაკავებისთანავე არ განუმარტეს მათი უფლებები, ასევე, არ შედგა მათი დაკავების ოქმები არც დაკავების ადგილზე და არც პოლიციის განყოფილებაში; დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში არ გადასცეს ბრალდების შესახებ დადგენილების ასლები, რაც წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.

5. გასული თვის მოვლენები

5.1. მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობათათვის მშობლიური ენის სწავლების საკითხი

5 თებერვალს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ „საქართველოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შენარჩუნებისა და სწავლების მდგომარეობის“ შესახებ შეხვედრა გამართა. შეხვედრას სახელმწიფო უწყებების, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრა სასტუმრო ამბასადორში

„სამწუხაროდ, საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლებას ნაკლები ყურადღება ეთმობა, რაც შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოში მცხოვრები ისეთი მცირერიცხოვანი ერებისათვის, როგორიც არიან ქისტები, დაღესტნელები, ქურთები, ასურელები, ოსები და უდიები. აქედან განსაკუთრებით საგან-

გაშო ვითარებაშია უდიური ენა, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბით დგას გაქრობის საშიშროების წინაშე. უდიები ცხოვრობენ საქართველოსა და აზერბაიჯანში და ახალი თაობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ფლობს მშობლიურ ენას," – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელი შეუწყოს მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს, რათა მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში, იქ სადაც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა, სასკოლო განათლების ფარგლებში დაინერგოს ამ ენების სწავლება (კვირაში ორი აკადემიური საათი).

5.2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის დაჯილდოვდა

12 თებერვალს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით ყველაზე ანგარიშვალდებული და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა.

სახალხო დამცველის აპარატი ყველაზე ანგარიშვალდებული ინსტიტუციაა

კვლევის მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო მაჩვენებელი წარმოადგინა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გამჭირვალე საქმიანობისათვის სპეციალური სერტიფიკატიც დაიმსახურა.

„ასეთი სახის ღონისძიებები უფრო მეტად წაახალისებს იმ უწყებებს, რომლებიც კანონის სრული დაცვით გასცემენ საჯარო ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყველა შტოს, ყველა სტრუქტურას ქონდეს ნათელი წარმოდგენა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონის მოთხოვნაა", – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

5.3. პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე დასწრების მსურველ შშმ პირთა მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ

12 თებერვალს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე, ვერ შეძლეს ღონისძიებაზე დასწრება, ვინაიდან არ იყო გათვალისწინებული მათი საჭიროებები – არ მოხდა პანდუსების დამონტაჟება, რის გამოც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს დაწესებულება.

გარემოს მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, რომლის მოგვარების გარეშეც შეუძლებელია მათი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების სათანადოდ რეალიზება და სრულყოფილი მონაწილეობა საზოგადოებრივ აქტივობებში. არაადაპტირებული გარემო და პირობები უმეტესად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის საფუძველი.

სახალხო დამცველმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა.

5.4. „ოსური ფორუმის" შეხვედრა საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე

13 თებერვალს სახალხო დამცველთან შექმნილი „ოსური ფორუმის" წევრებმა საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ოსური თემის წინაშე არსებული პრობლემები წარმოადგინეს. განხილვას დაესწრნენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების წევრები.

ხუთი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა

განხილვისას სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ მოკლედ ისაუბრა სახალხო დამცველთან შექმნილი საკონსულტაციო ორგანოს – „ოსური ფორუმის“ ერთწლიანი მუშაობაზე, საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების მოქალაქეთა პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაზე. აღნიშნა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ოსური ფორუმის ჩართულობით არაერთი რეკომენდაცია და წინადადება მომზადდა და გაეგზავნა სახელმწიფო ორგანოებს. სწორედ სახალხო დამცველის რეკომენდაციით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოთავსებული ოსური სახლის აღდგენა გაითვალისწინა.

ოსური ფორუმის წევრებმა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში მდებარე საჯარო სკოლებში ოსური ენის სწავლების საკითხებზე, ოსური ენის მასწავლებელთა მომზადება–გადამზადებასა და სახელმწიფო პროგრამაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უახლოეს ხანებში ამოქმედდება ქართულ–ოსური სამეცნიერო ცენტრი.

ასევე განიხილეს იმ ოსი ეროვნების მოსახლეობის პრობლემები, რომლებმაც 90–იან წლების კონფლიქტის შედეგად დატოვეს საცხოვრებელი სახლები და სხვა ქვეყანაში გადასახლდნენ. მათ საქართველოში დაბრუნების შემდეგ რესტიტუციისა და ორმაგი მოქალაქეობის მიღების პრობლემები შეექმნათ.

5.5. სოფელ მოხეში მდებარე კლუბის შენობის ირგვლივ არსებული გარემოებების შემსწავლელ კომისიასთან დაკავშირებით

16 თებერვალი. ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების შემდგომ, საქართველოს სახალხო დამცველმა, მისი მანდატის გათვალისწინებით, მიმართა სსიპ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს, „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის“ საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით მის ჩართვასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, კომისიის შექმნიდან, 2014 წლის დეკემბრიდან დღემდე, კომისიამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და სახალხო დამცველის ჩართულობა კომისიის სხდომებში. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველისთვის სამწუხაროდ ამ დრომდე უცნობია კომისიის საქმიანობის ფორმატი. მოთხოვნის მიუხედავად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არ წარმოუდგენია კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ასლები.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას“. აღნიშნული ნორმა საქართველოს სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებამოსილებას მონიტორინგი განახორციელოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ქვეყანაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში სადავო შენობის დანიშნულებისა და კუთვნილების საკითხმა ადილობრივ მოსახლეობაში ვნებათაღელვა გამოიწვია და შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადამიანის ისეთ ძირითად უფლებაში ჩარევას, როგორიცაა რელიგიის თავისუფლება, ისევე როგორც მართლმადიდებელ და მუსლიმ თემს შორის სოციალური მშვიდობისა და თანაცხოვრებისათვის საფრთხის შექმნა, საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს დამკვირვებლის სტატუსით და განახორციელოს ამ პროცესის მონიტორინგი.

5.6. სახალხო დამცველი არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობის სავარაუდო შემთხვევას სწავლობს

18 თებერვალი. სახალხო დამცველის აპარატმა მყისიერად დაიწყო მედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა კახეთის რეგიონში 12 წლის არასრულწლოვანი გოგონას მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების განხორციელების სავარაუდო შემთხვევის შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციის სიმძიმიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მოუწოდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, განახორციელონ დროული და ეფექტური ღონისძიებები ეროვნული და საერთაშორისო ნორმებით განმტკიცებული ბავშვთა დაცვის პოზიტიური ვალდებულების განუხრელი შესრულებისათვის.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა და განცხადების მიუხედავად, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მაისის ბრძანების მოთხოვნები არაეფექტურად ხორციელდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს შორის ბავშვთა უფლებადარღვევის ფაქტებზე ურთიერთთანამშრომლობას მრავალი ხარვეზი გააჩნია.

5.7. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრების შეხვედრა იუსტიციის მინისტრთან

20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრები იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს შეხვდნენ.

შეხვედრა იუსტიციის სახლში

განხილულ საკითხთა შორის იყო ძველი ტრადიციის მიხედვით, სახლის პირობებში გაჩენილი ბავშვების რეგისტრაციის სირთულეები. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სამინისტროს მიიღებს ზომებს, რომ მსგავსი რეგისტრაციები სამინისტროს პროაქტიული საქმიანობით განხორციელდეს, ხოლო, სოფლის რწმუნებულებისათვის ამ ფუნქციის მინიჭების საკითხში სამინისტრო შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებს.

გერმანული თემის წარმომადგენლები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ კანონის იმპლემენტაციის საკითხით დაინტერესდნენ. მინისტრის განცხადებით, განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საკომპენსაციო თანხა რამდენჯერმე გაიზარდა.

ქურთი მოსახლეობის ნაწილს თავისი ძველი გვარის აღდგენა სურს, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საქართველოდან სხვა ქვეყნებში წასული და მოქალაქეობაშეწყვეტილი პირებისათვის საკარმიდამო მიწების რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით, ითქვა, რომ ისინი სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში დაირეგისტრირებენ უძრავ ქონებას, ხოლო სასოფლო–სამეურნეო მიწების რეგისტრაციას ახლად ინიცირებული კანონი უახლოეს პერიოდში დაარეგულირებს.

ამასთან, უკვე მომზადებულია ახალი კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს მიწის ფლობის უფლებას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მემკვიდრეებისათვის, კომლის წევრებისა და ინვესტორებისათვის.

სახელმწიფოს მიერ ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესში აღებული ვალდებულების ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრომ გადაამოწმა ქვეყანაში მაცხოვრებელთა მოქალაქეობის საკითხები და იმ პირებს, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ქონდათ მიღებული, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ. ასეთი მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ათასი ადამიანი აღმოჩნდა, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი, ეროვნებით სომეხი მოქალაქეები. თუმცა, იუსტიციის სამინისტრომ ძირითადად დააკმაყოფილა იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც ბინადრობის უფლებას ითხოვდნენ.

5.8. სახალხო დამცველის აპარატს საერთაშორისო ექსპერტი მანფრედ ნოვაკი სტუმრობდა

23 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ვენის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პროფესორი მანფრედ ნოვაკი ეწვია. სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივნთან ეკატერინე ფოფხაძესთან და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ნიკა კვარაცხელიასთან გამართული შეხვედრის ძირითად თემას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა და მისი მანდატის საკითხები წარმოადგენდა. ასევე, განიხილეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ვითარება.

ვიზიტი ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში.

5.9. სახალხო დამცველის აპარატმა ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელ მისიას უმასპინძლა

24 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისია. მისიის მიზანს საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის შეფასება წარმოადგენდა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც ქვეყნის თანასწორობის ორგანოს, უფლებამოსილება, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები; საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობა და სამომავლო გეგმები; საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის იმპლემენტაციის ეფექტურობა, ანტიდისკრიმინაციულ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობა, რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების აღმოფხვრის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების კამპანიების წარმოება. ასევე, ყურადღება გაამახვილეს ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისა და ტოლერანტობის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებზე.

5.10. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ გავრცელებული განცხადების პასუხად

24 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა განცხადება ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2012 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია გოგონათა მიერ საბაზისო საფეხურზე სკოლის მიტოვების შესახებ არარელევანტურია და არსებულ მდგომარეობას არ შეესაბამება.

საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშებსა თუ განცხადებებში ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, „2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, ხოლო განათლების შეწყვეტის

მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო ქვემო ქართლის რეგიონში“ – წარმოადგენს ამონარიდს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 14 იანვრის წერილიდან. ამავე წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა სრული სტატისტიკური მონაცემები ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთ განცხადებასა თუ ანგარიშში მოუწოდებდა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისა და მომხდარი ფაქტების შემთხვევებზე კანონით გათვალისწინებული რეაგირებისათვის, თუმცა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის არსებობის აღიარება არათუ საზოგადოებას, არამედ ამ თემაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების მხრიდანაც არ ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების მხრიდან არაეფექტურად ხორციელდება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მაისის ბრძანების მოთხოვნები. მასწავლებელთა მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება ადრეულ ასაკში ქორწინების როგორც ძალადობის ერთ–ერთი ფორმის განხილვა და შემთხვევის შემდგომი მართვა რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

6.1. ქართულ–ოსურ შეხვედრა სტამბულში

8-10 თებერვალს სახალხო დამცველის მრჩეველი კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილი სტამბულში გამართულ ქართულ-ოსურ შეხვედრას დაესწრო.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ისაუბრა გამყოფ ხაზზე დაკავებებსა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოსი პატიმართა მდგომარეობის შესახებ.

ქართულ-ოსური შეხვედრები 2008 წლიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების განხილვასა და კონფლიქტებით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას.

შეხვედრას ესწრებოდნენ ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები

ღონისძიება ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული.

6.2. ტრენინგები დისკრიმინაციაზე სკოლებში

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაკა გიოშვილმა და დეპარტამენტის თანამშრომლებმა მარიამ გაიპარაშვილმა და მარიეტა ახვლედიანმა თბილისის 4 სკოლის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს ტრენინგები ჩაუტარეს დისკრიმინაციის აკრძალვის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და სახალხო დამცველის უფლებამოსილების შესახებ.

ტრენინგები საქართველოს მასშტაბით 58 სკოლაში ჩატარდება. თეორიული სალექციო კურსის გარდა, ტრენინგი ითვალისწინებს სავარჯიშოებს, გონებრივ იერიშს (ბრეინსთორმინგს), როლურ გათამაშებებს და კაზუსებს.

7. წარმატებული საქმეები

7.1. ლ.მ.–ს უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიმართ-

ვის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა–მთიანეთის სააღსრულებო ბიურომ ყადაღა მოუხსნა მოქალაქე ლ.მ.–ს საბანკო ანგარიშებს სოციალური დახმარებების ნაწილში და მოქალაქე თავის არასრულწლოვან შვილთან ერთად შეუფერხებლად იღებს მარჩენალდაკარგულობის გამო სახელმწიფო პენსიას და დევნილ პირთათვის განკუთვნილ შემწეობას.

როგორც საქმის შესწავლისას დადგინდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის და მცხეთა მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილებით, ლ.მ. გასული წლის 8 აგვისტოდან რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში. ამის შედეგად, მას შეეზღუდა რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების განკარგვის უფლება და დაყადაღდა მის სახელზე არსებული საბანკო ანგარიშებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ლ.მ.–ს ანგარიშზე ირიცხებოდა მისი არასრულწლოვანი შვილის სოციალური დახმარებები – მარჩენალდაკარგულობის გამო სახელმწიფო პენსია და დევნილ პირთათვის განკუთვნილი შემწეობა. ყადაღის დადების პროცესში, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ შეისწავლა აღწერილ ანგარიშზე რიცხული სოციალური დახმარებების საკითხი, რის გამოც, განმცხადებელი და მისი შვილი უსახსროდ იყვნენ დარჩენილი.

8. სხვა სიახლეები

8.1. კონკურსი „მე–ომბუდსმენი 2014“ – გამარჯვებულთა დაჯილდოება

4 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების კოორდინატორმა საქართველოში ევა პასტრანამ კონკურსის „მე-ომბუდსმენი 2014“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოეს.

2014 წელს კონკურსი „მე–ომბუდსმენი“ მეხუთედ გაიმართა. საფინალო რაუნდში 17 გუნდი და შესაბამისად 34 მოსწავლე გავიდა. ფინალური რაუნდის ნაშრომები 3 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

პირველ ადგილზე გასულმა მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს ლეპტოპები (hp), მეორე ადგილზე გასულებმა პლანშეტური კომპიუტერები (iPad Air) და მესამე ადგილზე გასულებმა მინი პლანშეტური კომპიუტერები (iPad mini). ფინალში მონაწილე ყველა მოსწავლემ სამახსოვროდ სერტიფიკატები და საკანცელარიო ნივთებით სავსე ზურგჩანთები მიიღეს.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით გაიმართა.

8.2. ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაშუქებაზე

12–14 თებერვალს კაჭრეთში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და რუმინეთის მთავრობის დაფინანსებით ჩაატარა ტრენინგი ჟურნალისტებისთვის თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და ამ თემის სწორად გაშუქება.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ამ საკითხების გაშუქებისას ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა.

ტრენინგის მიმდინარეობის დროს განხილვის მთავარი თემები იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, სტერეოტიპები, დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების მედიაში გაშუქების თავისებურებები.

ტრენინგში მონაწილეობდა 24 ჟურნალისტი, მათ შორის ცენტრალური ტელე–რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ინტერნეტ მედიის წარმომადგენლები.

8.3. ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულება შედეგები და გამოწვევები

16 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა და ახლადდაფუძნებულმა „კოალიცია თანასწორობისთვის“ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს.

მემორანდუმი კოალიციასთან

მემორანდუმის თანახმად, ხელმომწერი ორგანიზაციები ერთად შეეცდებიან ხელი შეუწყონ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის აღსრულებას, სახალხო დამცველის როლის გაძლიერებას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას იმისათვის, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებები დაცული იქნას.

16 თებერვლიდან ამუშავდა ცხელი ხაზიც, რომელიც მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„კოალიცია თანასწორობისათვის“ ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით დაფუძნდა და ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს“, „საფარის“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“ და „იდენტობას“ აერთიანებს. კოალიციის მიზანია ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების ხელშეწყობა და მისი პრაქტიკული გამოყენების მონიტორინგი.

8.4. სახალხო დამცველმა ესეების კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვა

20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა თემაზე: „იძულებით გადაადგილება - დევნილობა და განვითარება საქართველოში“ გამოცხადებულ ესეების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს სერტიფიკატები და პრიზები გადასცა.

კონკურსის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების დაინტერესება იძულებით გადაადგილების თემით, რომელიც დღემდე მწვავედ აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისთვის. კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. საკონკურსოდ შემოსული 40-ზე მეტი ნაშრომიდან, სპეციალურმა კომისიამ სამი შეარჩია.

კონკურსი გაეროს ლტოვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ევროპის საბჭოს ოფისების მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაიმართა.

8.5. სამუშაო შეხვედრა კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების შესახებ

26 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს, რომელზეც კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, ომბუდსმენის აპარატის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი ბიულეტენი იყო წარმოდგენილი.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშის მომზადების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციათა მოსაზრებები და რეკომენდაციები. ისაუბრეს ზარდიაანთკარის შესახებ სპეციალურ ანგარიშზე; განიხილეს სპეციალური ანგარიში პატიმრების შესახებ, სადაც ყველაზე მტკივნეულ საკითხად კვლად რჩება მუდმივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და პატიმრების საკითხი; ასევე განიხილეს მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც საქართველოში მცხოვრებ, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, ეთნიკურად ოს მოსახლეობას აწუხებს.

8.6. ტრენინგი მოსამართლეთათვის იძულებით გადაადგილების სამართლის სიახლეებზე

28 თებერვალიდან 1 მარტის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის მიწოდება მოსამართლეებისთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამართლებრივ სფეროში მიმდინარე უახლესი ცვლილებების შესახებ. ტრენინგის ორგანიზებაში მონაწილეობა ასევე მიიღეს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა.

ექსპერტებად მოწვეული იყვნენ დიდი ბრიტანეთის პირველი რანგის ტრიბუნალის მოსამართლე საიმონ რასელი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილი. განიხილეს იძულებითი გადაადგილების საერთაშორისო სტანდარტები; დევნილის სტატუსის მაძიებელ პირთა რეგისტრაციისა და დევნილის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი ასპექტები; დევნილის სტატუსის მინიჭების სასამართლო

პრაქტიკა; საცხოვრებლის უფლება სახელმწიფო და საერთაშორისო კანონის მიხედვით დროებითი და იძულებითი გამოსახლება: იძულებით გამოსახლების კანონით დადგენილი ფორმები და დაუსაბუთებული გამოსახლებისგან დევნილთა დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

ღონისძიება დააფინანსა ევროსაბჭოს ოფისმა, „საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობა დევნილთა საკითხებში“ პროექტის ფარგლებში.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. სტრუქტურული ცვლილებები

სახალხო დამცველის **20 თებერვალის** ბრძანებით, სახალხო დამცველის აპარატის დებულებაში შესული ცვლილების თანახმად, მოხდა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, **24 თებერვალს** სახალხო დამცველის აპარატმა გამოაცხადა ვაკანსიები საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობებზე.

9.2. სტაჟირება ბავშვის უფლებათა ცენტრში

27 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატმა ბავშვის უფლებათა ცენტრში სტაჟიორის ვაკანსია გამოაცხადა.

9.3. მომართვიანობის სტატისტიკა

2015 წლის თებერვლის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 711 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 587 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 3
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 63
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 256
- რეგიონული სამმართველო – 178
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 32
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 10
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 4
- თანასწორობის დეპარტამენტი – 28



10. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე